ონის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის

ხელშეკრულება № 2

ქ. ონი

06 ივნისი, 2022 წელი

წინამდებარე სარგებლობის ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) გაფორმდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტი (ს/კ 237978275) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის სერგო ხიდეშელის სახით, (შემდგომში – ,,მესაკუთრე“); და

(2) მეორეს მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება (ს/კ 239403463) დირექტორის მიხეილ ქამუშაძის სახით (შემდგომში ,,მოსარგებლე”).

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე სარგებლობის ხელშეკრულების ფარგლებში „მესაკუთრე“, „მოსარგებლეს“, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის N14 განკარგულების და ონის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის N 678.7822147001 ბრძანების საფუძველზე და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სარგებლობაში გადასცემს ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ.ონი, ჩაჩაშვილის ქუჩა N99-ში მდებარე უძრავ ქონებას (ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი: 1442.00 კვ.მ; საკადასტრო კოდი: 88.18.28.074); პირდაპირი განკარგვის, უსასყიდლო სარგებლობის ფორმით.

2. „მესაკუთრე“ აცხადებს, რომ „ხელშეკრულების საგანი“ უფლებრივად უნაკლოა.

3. მესაკუთრისათვის ცნობილია, რომ მოსარგებლე განახორციელებს და უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, იმ სამედიცინო სერვისებით/ საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებით საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებაში, რაც ხელმოსაწვდომი არ არის ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. მოსახლეობისათვის ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მესაკუთრე გამოუხმობად აცხადებს, რომ არ გააჩნია არანაირი პრეტენზია, მოსარგებლის მიერ ფართის გამოყენების მიზნობრიობასთან დაკავშირებით.

5. მხარეები თანხმდებიან, რომ უძრავი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება მოსარგებლის მოთხოვნებს და სარგებლობის მიზნის განხორციელებისთვის საჭიროა რემონტი. მხარეები ადასტურებენ, რომ მოსარგებლე სრულად განახორციელებს ფართში საჭირო სარემონტო სამუშაოებს.

6. მოსარგებლის მიერ ქონების გამოყენების დანიშნულების არსებითი ცვლილება დაუშვებელია.

მუხლი 2. ქირის საფასური და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულებით ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაეცემა, მოსარგებლეს 2 (ორი) წლით.

2. ხელშეკრულება ძალაში შედის სსიპ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო მომსახურების საფასურისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს ფარავს მოსარგებლე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1.„მესაკუთრეს“ უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს მოსარგებლისგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მოსარგებლის მიერ, უხეშად დარღვევის ან/და ხელშეკრულების საგნის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში, ასევე სხვა საპატიო მიზეზების არ არსებობისას, მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა;

გ) მოსარგებლის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „ხელშეკრულების საგნის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის,დაგირავების ან/და სხვაგვარად დატვირთვის გამოყენების შემთხვევაში, მოითხოვოს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა;

დ)ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მოსარგებლის ბრალეულობით დაზიანების შემთხვევაში გონივრულ ვადაში მოითხოვოს გადაცემული ქონების აღდგენა, ზიანის ანაზღაურება ასევე მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა;

ე) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს დაათვალიეროს და შეამოწმოს „ხელშეკრულების საგანი“, მიიღოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

2. „მესაკუთრე“ ვალდებულია:

ა) მოსარგებლეს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, მაგრამ მოსარგებლეს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მოსარგებლეს წარმოეშობა უფლებები ნივთის ისეთი ნაკლის გამო, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში მისთვის არ იყო ცნობილი ან/და გონივრულად შემჩნევადი;

ბ) თუ ნივთს აღმოაჩნდა ნაკლი, რომელიც ხელშეკრულების დადებისას არ ყოფილა მოსარგებლისათვის ცნობილი, დაუყოვნებლივ გამოასწოროს იგი თავისი ხარჯებით;

გ) მიიღოს ყველა ზომა, რომელიც არის მესაკუთრის გონივრული კონტროლის ფარგლებში, რათა უზრუნველყოს მოსარგებლის მიერ ხელშეკრულების საგნის შეუფერხებელი გამოყენება;

დ) მიიღოს ყველა ზომა, ითანამშრომლოს და დაეხმაროს მოსარგებლეს ტერიტორიაზე დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით საჭირო თანხმობების და პროცედურების წარმატებით გავლისათვის.

ვ) უზრუნველყოს ყველა საჭირო კომუნიკაციის (ელექტროენერგია, წყალ-მომარაგება, ბუნებრივი გაზი, კანალიზაცია) შენობაში მიყვანა და აბონენტად აყვანა.

3. მოსარგებლეს უფლება აქვს:

ა) გააუმჯობესოს „ხელშეკრულების საგანი“ „მესაკუთრის“ თანხმობით. ასეთ თანხმობაზე უარის თქმა არ შეიძლება იყოს არაგონივრული მესაკუთრის მიერ;

ბ) მოსთხოვოს მესაკუთრეს სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ ხელშეკრულების საგნის გადაცემა.

გ) შეხედულებისამებრ და სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს საიჯარო ფართის შიდა რემონტი, გამართოს/დაამონტაჟოს ყველანაირი სახის გაყვანილობა (წყალი, კანალიზაცია, ყველანაირი ელექტროობა, ინტერნეტი და ნებისმიერი სხვა გაყვანილობა), შენობაში გარდა მნიშვნელოვანი კონსტრუქციული ცვლილებებისა, რაზეც საჭიროა მესაკუთრის თანხმობა.

4. მოსარგებლე ვალდებულია:

ა) გამოიყენოს სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება მისი დანიშნულებისა და ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მიიღოს ყველა ზომა ქონების დაცვისა და ნორმალურ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის;

გ) არ გაასხვისოს, არ დატვირთოს იპოთეკით, არ გადასცეს მემკვიდრეობით სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება;

დ) ხელშეკრულების საგანი ან მისი ნაწილი მესამე პირს გადასცეს სარგებლობის უფლებით, მხოლოდ „მესაკუთრესთან" შეთანხმებით;

ე) არ შეცვალოს გადაცემული ქონების სარგებლობის მიზანი „მესაკუთრის" თანხმობის გარეშე;

ვ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს „მესაკუთრეს", თუ ქონება დაზიანდა, განადგურდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები;

ზ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, უზრუნველყოს გადაცემული ქონების მოვლა-პატრონობა. კეთილსინდისიერად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით;

თ) უზრუნველყოს სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო რეესტრში დარეგისტრირება;

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსარგებლეს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა.

3. სარგებლობის ხელშეკრულების პირობების არსებითი შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა მიიჩნევა სარგებლობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ. მოსარგებლეს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.

4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, თუკი ის პირდაპირ გავლენას ახდენს მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის" ქვეშ მხარეები გულისხმობენ გარემოებებს (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საომარი მდგომარეობა, საკანონმდებლო შეზღუდვები), რომელთა დადგომა ან/ და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ.

6. მხარე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად დაასახელებს ფორსმაჟორულ გარემოებებს (დაუძლეველი ძალა), ვალდებულია მათი დადგომიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ და დაადასტუროს მათი არსებობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ გამოცხადებული იქნება სახელმწიფო ორგანოების მიერ საჯაროდ, საინფორმაციო და მასობრივ საშუალებებში.

მუხლი 5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეების მიერ ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლარად. აქედან, ერთი რჩება მესაკუთრეს, ხოლო ორი გადაეცემა მოსარგებლეს, რომელიც ერთ ეგზემპლარს წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები წყდება, მოლაპარაკების გზით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საერთო სასამართლოს მეშვეობით.

3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

ონის მუნიციპალიტეტი
მერი

სერგო ხიდეშელი

სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება
საინდეტიფიკაციო კოდი 239403463
საჩხერე ივ. გომართელის ქ. N17
ს.ს საქართველოს ბანკი BAGAGE22 GE34BG0000000332571100

დირექტორი / მიხეილ ქამუშაძე

ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.7822147001**

თარიღი:**27/05/2022**

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში, ჩაჩაშვილის ქუჩა N99 -ში (ს/კ 88.18.28.074), მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისათვის (ს/კ 239403463) გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" და „დ.ა" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 122 - ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის N14 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გადაეცეს, სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებას (ს/კ 239403463),ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქ.ონში, ჩაჩაშვილის ქუჩაN99-ში (ს/კ 88.18.28.074), მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით შემდეგი პირობით:

მოსარგებლე განახორციელებს და უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის იმ სამედიცინო სერვისებს (საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებას მოახდენს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებაში), რაც ხელმოსაწვდომი არ არის ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში(მის: ქ. ამბროლაური, დ.აღმაშენებლის ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ნოდარიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N14

2022 წლის 19 მაისი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში, ჩაჩაშვილის ქ. N99-ში (ს/კ 88.18.28.074) მდებარე უძრავი ქონების სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისთვის (ს/კ 239403463) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს: ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ონში, ჩაჩაშვილის ქ. N99-ში (ს/კ 88.18.28.074) მდებარე უძრავი ქონების სს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებისთვის (ს/კ 239403463) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით 2 წლის ვადით უსასყიდლოდ გადაცემაზე შემდეგი პირობით: მოსარგებლე განახორციელებს და უზრუნველყოფს ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის იმ სამედიცინო სერვისებს (საჭიროების შემთხვევაში ტრანსპორტირებას მოახდენს საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში), რაც ხელმისაწვდომი არ არის ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაზანა მარკოიშვილი